სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/04

ქ. თბილისი

17 მარტი 2023

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრის ჰენრი კუპრაშვილის 2022 წლის 27 დეკემბრის განცხადების, სტუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის დავით ლეშკაშელის 2023 წლის 14 მარტის №0000291149 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 17 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრს, პროფესორ ჰენრი კუპრაშვილს პირადი განცხადების საფუძველზე და ქვემოთ ჩამოთვლილ წევრ სტუდენტებს, სწავლის დასრულების გამო, შეუწყდეთ უფლებამოსილება:

- სამშენებლო ფაკულტეტი – გიორგი ნანიტაშვილი;
- ენერგეტიკისა ფაკულტეტი – მეგი გოგოლაძე;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – ლევან ბლიაძე;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი – თორნიკე გასიტაშვილი და სესილი თოდუა;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – დავით დოლიკაშვილი;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – ემზარ ჩილინდრიშვილი და ლუკა დადიანიძე;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი – ნინო შაგიძე და ნინო კუსიანი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**